ოქმი №14

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომისა

აბაშა, 2020 წლის 1 მაისი

ᲝᲥᲛᲝ №14

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2020 წლის 1 მაისი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა მ. კვიტაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: გ. ხოშტარია, გ. კუპრავა, გ. მიგინეიშვილი, კ. კუჭუხიძე, ტ. ხოშტარია, გ. კუცია, ე. ნოდია, ზ. ალასანია, შ. ჭანტურაია.

საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი აპარატის უფროსი გ. ხურცილავა, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.
   მომხს: გ. კუცია
2. აბაშის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი (2020-2023წ.წ.) განვითარების დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე.
   მომხს: გ. კუცია
3. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.
   მომხს: ტ. ხოშტარია
4. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.
   მომხს. მ. კვიტაშვილი

ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲔᲡ:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს: გ. კუცია

მომხსენებელმა გ. კუციამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი და განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 108-ე მუხლით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა. შესაბამისად, განკარგულების სათაურში და განკარგულებაში უნდა მიეთითოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: მ. კვიტაშვილმა, გ. ხოშტარიამ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი - აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განსახილველად გატანილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე დ. თოფურია.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

2

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი (2020-2023წ.წ.) განვითარების დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე.

მომხს: გ. კუცია

მომხსენებელმა გ. კუციამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი (2020-2023წ.წ.) განვითარების დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: მ. კვიტაშვილმა, გ. ხოშტარიამ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი (2020-2023წ.წ.) განვითარების დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე განსახილველად გატანილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე დ. თოფურია.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

3

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ტ. ხოშტარია

მომხსენებელმა ტ. ხოშტარიამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: მ. კვიტაშვილმა, გ. ხოშტარიამ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ განსახილველად გატანილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ტ. ხოშტარია.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

4

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. მ. კვიტაშვილი

მომხსენებელმა მ. კვიტაშვილმა წამოაყენა წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა მოწვეულ იქნეს 2020 წლის 4 მაისს დილის 10 საათზე, დღის წესრიგით:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

   მომხს: დ.თოფურია

2. აბაშის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი (2020-2023წ.წ.) განვითარების დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე.

   მომხს: დ.თოფურია

3. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ტ. ხოშტარია

საკრებულოს თავმჯდომარის წინადადებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ბიუროს ყველა წევრმა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი